MES 8 20 0000890022

24/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.09.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:59 სთ
საბჭოს თავმჯდომარე : ირაკლი ბურდული
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი
სხდომის მდივანი: თამარ ტუფინაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სხდომის მდივანი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
12. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდა წესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2				I

	დიმიტრი კორძაია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
3	ნინო ჩიხლაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	I
4	სერგო ტეფნაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	რექტორი	II
5	დავით ტეფნაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	ბექა ბუიძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	პროფესიული პროგრამების ხარისხის მენეჯერი	II
7	დიმიტრი ლომიძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტის დეკანი	II
8	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
9	კახი ყურაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
10	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
11	სოფიო ჩქოფოია	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	მოწვეული სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
12	ზვიად როგავა	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მარინე თოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	გიორგი მაყაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ანჟელა აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 17 ოქტომბრის N96 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0912
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 (სასწავლო კომპონენტი)
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი N1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს ირაკლი ბურდულმა და ირმა წერეთელმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - დიმიტრი გეგენავა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარინა თოიძემ განაცხადა, რომ ექსპერტებმა შეამოწმეს „კლინიკური და ტრანსლაციური“ მედიცინის პროგრამა, მათ შეისწავლეს წარდგენილი დოკუმენტაცია, დაათვალიერეს ის ბაზა და ლოკაცია სადაც ხორციელდება პროგრამა. როგორც მან აღნიშნა, პროგრამამ პირველი აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს და პროგრამა დღემდე ამ პერიოდიდან ფუნქციონირებს. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფფა გადახედა იმ რეკომენდაციებს და რჩევებს, რომელიც პროგრამის პირველადი აკრედიტაციის დროს გაიცა. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებას აღნიშნული რეკომენდაციები სრულად ჰქონდა გათვალისწინებულოი. მისი თქმით, ექსპერტები გაეცნენ ლაბორატორიებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ნაშრომებსა და იმ შედეგებს, რომლებიც უკვე დადებულია. როგორც მან აღნიშნა უნივერსიტეტში საკმაოდ მაღალი სტანდარტებია დაწესებული, რადგან სავალდებულოა მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში იყოს დაბეჭდილი დოქტორანტების პუბლიკაციები, შესაბამისად მართალია დამთავრებული სადესერტაციო ნაშრომის რაოდენობა რამდენიმე ათეულია, თუმცა ბევრია მიმდინარე და მაღალი სტანდარტები იწვევს იმ შეგრძნებას, რომ სავარაუდოდ არ არის ადვილი ამის გადალახვა, იყო მსჯელობა, რომ ხომ არ არის ზედმეტად მკაცრი ეს კრიტერიუმები, მაგრამ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ არ არის დაწესებული ზედმეტად მკაცრი კრიტერიუმები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ არ გაუციათ არანაირი რეკომენდაცია და გასცეს მხოლოდ რამდენიმე რჩევა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ არის აუცილებელი რჩევებზე ყურადღების გამახვილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ირმა გრძელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კვალიფიციური სამუშაოსთვის და ყველა იმ

რჩევისთვის, რომელიც პროგრამის მიმართ გასცეს ექსპერტებმა. მან ააღნიშნა, რომ „კლინიკური და ტრანსლაციური“ მედიცინის სადოქტორო პროგრამა არის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტში, თავისი შედეგებითა და ინტერნაციონალიზაციით. ფაქტობრივად, აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, თითოეული სადოქტორო პროგრამის მიღმა განივითარონ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ მისცემს საუკეთესო შედეგზე გასვლის შესაძლებლობას. როგორც მან აღნიშნა, ყველა ის დისერტაცია, რომელიც დაცულია არის ძალიან მაღალი დონის. მისი თქმით, პროგრამის განვითარებაზე ფაკულტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად ზრუნავენ, ეს დასტურდება ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით და შესაძლებლობებით, რომელსაც სტუდნტებს განვითარებისთვის აძლევს მიმართულება, პროგრამა და ფაკულტეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიმიტრი კორძაიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, მან განაცხადა, რომ ისინი ცდილობენ არ ჩამორჩნენ უნივერსიტეტის საუკეთესო სტანდარტს, ამ შემთხვევაში დაწესებულებას უნდოდა ექსპერტებისთვის ეჩვენებინა, რომ ეს იყო სალიდერო სტანდარტი სადოქტორო პროგრამებს შორის და ყველა დადებითი მხარე ზუსტად იქნა გამოკვეთილი ექსპერტების მიერ. მისი თქმით, მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა რჩევები, რაც გამოხატება იმაში, რომ სექტემბერში ფაკულტეტს დაემატება კადრი, ფაკულტეტის მენეჯერი სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციისთვის, რადგან, როგორც მან აღნიშნა, ძალიან დიდი პროგრამაა შესასრულელებელი, დიდი წინაპირობებით, მათ ჰყავთ ბევრი პატნიორი, თუმცა ამას სჭირდებოდა ერთი თავმომყრელი ადამიანი და ესეც გააკეთეს. რაც შეეხება აღნიშნულ პროგრამას,როგორც მან აღნიშნა, მასზე არის ძალიან დიდი მოთხოვნაა, მისი თქმით, აქტიურ დოქტორანტთა რაოდენობა არის 100-ზე მეტი ხოლო, შეჩერებული სტატუსის მქონე არის ათეულობით სტუდენტი, მოთხოვნა დიდია და შესაბამისად მენეჯმენტი საკმაოდ დიდ დაძაბულობას მოითხოვს, თუმცა დაწესებულება ახერხებს, რომ კვლევითი კომპონენტი და სასწავლო კომპონენტები ჰარმონიულად წარიმართოს. საბჭოს წევრებისთვის ცნობილია, რომ ისეთ ჟურნალებში, მაგალითად, როგორიცაა Scopus-ი, პუბლიკაცის გამოქვეყნება რთულია და ბევრ დროს მოითხოვს, მოვა რაღაც შენიშვინით - სჭირდება დასაბუთებული პასუხი და ა.შ. შესაძლებელია ესეც იყოს ერთ-ერთი ფაქტორი იმისა, რომ 3 წელში დამამთავრებელ დოქტორანტთა რაოდენობა ბევრი არ არის, ერთად არის ორი სადოქტორო პროგრამა (ერთობლივ მენეჯმენტში) საზოგადოებრივ ჯანდაცვაში კლინიკური და ტრანსპლანტაციული მედიცინა, რომელშიც 48 დისერტაცია არის დაცული ამ წლებში, თუმცა დამაგვირგვინებელ ეტაპზეა ორ ათეულზე მეტი, რადგან ახალი მოთხოვნის შესაბამისად, ამაში იკარგება დრო. მისი თქმით, თუ დღეს უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში არის ყველგან მოხვედრილი, ზოგჯერ ათასეულში, ზოგჯერ ასეულში, ძირითადად სამეცნიერო კომპონენტია განმსაზღვრელი, თუ ადრე აღნიშნული სამეცნიერო კომპონენტის განმსაზღვრელი იყო ძირითადად ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მეცნიერთა კვლევები, ბოლო 2-3 წელია ამაში აქტიურად ეხმარება მედიცინის ფაკულტეტი და მათი სურვილია ეს ტენდენცია გაგრძელდეს. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს წევრებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებმა არ გამოთქვეს მოსაზრებები, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის ხარისხი და დონე კარგად ჩანს, როგორც დასკვნიდან, ასევე კარგად გამოჩნდა ზეპირი განხილვის დროსაც. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულებას და ექსპერტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:10
დასრულების დრო: 17:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რჩევები:
ა)საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ბიოსამედიცინო მეცნიერებების სფეროში და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის საკითხების უფრო აქტიური მასშტაბებით დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე მკვლევარის ინტერესების სფეროში უფრო მეტად აქტუალური საკვლევი საკითხების წარმოჩენას და პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრობლემების (დროში გადავადება და პუბლიკაციების დაწუნება - რაც ხშირად საკვლევი არეალის სიმწირეს უკავშირდება) შემცირებას.
ბ)უნივერსიტეტის აკადემიურ პროცესში პროგრამის კურსდამთავრებულთა უფრო მეტი რაოდენობით ინტეგრირება.
გ) სასურველია ზემოაღნიშნულ შედეგებთან ერთად პროგრამამ მიზნად დაისახოს შედეგი, რომელიც იქნება მსოფლიო მასშტაბით, არსებული ლიდერი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი. გასაგრძელებელია მუშაობა და მისაღწევია კონსენსუსი დოქტორანტურაში სწავლის ვადებთან დაკავშირებით.
დ) შიდა დაფინანსების წყაროების მოძიება.
ე) აკადემიური ინგლისურის სწავლების გაძლიერება
ვ) ერთ ხელმძღვანელთან დოქტორანტების დასაშვები რაოდენობის შემცირება / დოქტორანტების ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა.
ზ) ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობაში სასურველი იქნება გაძლიერდეს ის მექანიზმები და რესურსები, რომელიც უცხოელი კოლეგების ჩართვის შესაძლებლობას შექმნის განმავითარებელი კოლეგიალური, ან peer review - რების პროცესში.

გადაწყვეტილება:
“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 28 ივლისის N105 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1041 ტრანსპორტის მომსახურებები
12	კვალიფიკაციის კოდი	1041
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0103, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ნიკა თიკანაშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული, ხოლო სხდომის მდივნად აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, განისაზღვრა თამარ ტუფინაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გივი სანაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) საბაკალავრო პროგრამის შესამოწმებლად ვიზიტზე იმყოფებოდა 14-15 ივლისს, ვიზიტი განხორციელდა საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით, მათ ინტერვიუებისა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით, გადაამოწმეს დოკუმენტებით წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე. როგორც მან აღნიშნა, ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ აეროდრომზე ქალაქ თელავში. აეროდრომზე ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამით გათვალისწინებული საფრენოსნო პრაქტიკის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო ბაზა და პრაქტიკის ჩატარების პროცედურები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამას გააჩნია თავისებურებები, პირველ რიგში პროგრამას მუდმივ ზედამხედველობას უწევს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, იგი ახდენს პროგრამის სერთიფიცირებასა და რეგულარულ მონიტორინგს, სააგენტო თავის მხრივ ხელმძღვანელობს ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს რეგულაციებით, ლექტორებს გააჩნიათ სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად გაცემული სერთიფიკატები, გარკვეული საგნები ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად იკითხება ინგლისურ ენაზე, ფაქტობრივად ექსპერტებს მოუწიათ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს სტანდარტების შესაბამისი პროგრამის შესწავლა და შესაბამისად, ვიზიტის შედეგად დადეს დასკვნა, რომელშიც ასახულია რეკომენდაცია და რჩევები. გაცემულია მნიშვნელოვანი რეკომენდაცია „დაემატოს „საჰაერო კანონმდებლობის“ სასწავლო კურსში ეროვნული საავიაციო კანონმდებლობის საკითხები.“

გაცემულია რჩევებიც:

- მიზანშეწონილია პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს უფრო აქტიურად გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (ზმნები);
- მიზანშეწონილია, რომ სტუდენტს გარდა ინგლისური და რუსული ენისა ჰქონდეს ასევე სხვა ევროპული ენების სწავლის შესაძლებლობა არჩევითი კომპონენტის ფარგლებში;
- მეტი ყურადღება მიექცეს სილაბუსებში ტექსტის სტილისტურ გამართულობას;
- კარგი იქნება თუ მომავალში უნივერსიტეტი პილოტ-სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს მეტ ყურადღებას დაუთმობს;

საუკეთესო პრაქტიკასთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია საფრენოსნო ბაზა, რომელიც მოიცავს აეროდრომს, თანამედროვე საფრენ აპარატებს, სასწავლო კლასებს და საცხოვრებელ შენობებს. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო კომლექსი, რომელიც უშუალოდ საფრენოსნო მომზადებისთვისაა გათვალისწინებული და პროგრამის მდგრადობის მნიშვნელოვანი მახასაითებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტმა მაქსიმალურად წარმაოდგინა თავისი შესაძლებლობები და აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა თავის დასკვნაში ადეკვატურად ასახა, რეკომენდაციაც, რჩევებიც და საუკეთესო პრაქტიკაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, დიმიტრი ლომიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფს, მან აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა ძალიან კომპეტენტურ სამუშაო გარემოში, წარმოდგენილნი იყვნენ დარგის სპეციალისტები, მათ ნამდვილად დეტალურად და ჯანსაღად გაიარეს პროგრამა, გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება დაეთანხმა, და შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია ასახული იქნება პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ განაცხადა, რომ ICAO და EASA-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროგრამის ძირითადი სასწავლო კომპონენტების სწავლებისა და შეფასების ენა უნდა იყოს ინგლისური და მას ამის გათვალისწინებით პროგრამის V მუხლში მითითებული ჩანაწერი გაუგებრად მოეჩვენა - „ის სტუდენტები, რომლებიც პროგრამაზე ჩაირიცხნენ ინგლისური ენის ჩაბარების გარეშე უნივერსიტეტი უტარებს შიდა ტესტს, სტუდენტები, რომლებიც ვერ შეძლებენ A2 დონის ინგლისურის დადასტურებას მათთვის სავალდებულო იქნება ინგლისური ენის A2 დონის აღება პირველ სემესტრში, მეორე სემესტრში სტუდენტი ისწავლის პროფესიულ ინგლისურ ენა 1-ს“, ამასთან დაკავშირებით მას აქვს ორი კითხვა: პროფესული ინგლისური ენის დაუფლება რამდენად შესაძლებელია სტუდენტისთვის, რომელიც ინგლისურს ფლობს A2 დონეზე და როგორ ხდება პროგრამის სტრუქტურის გადაწყობა, როდესაც სავალდებულო კურსებს ვერ ითვისებს ისეთი სტუდენტი, რომელიც არ ფლობს ამ ენას.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევს საინტერესო კითხვისთვის და უპასუხა, რომ ის სტუდენტები, რომლებსაც არ ექნებათ დამაკმაყოფილებელი A2 დონის კვალიფიკაცია, ისინი სწავლას დაიწყებენ A2 დონეზე, შემდეგ ისინი პროფესიულ ინგლისურ ენასთან ერთად გაივლიან B1-ის კურსს, ეს პროგრამა თავიდანვე ისე აეწყო, რომ მას ვისაც არ აქვს შესაბამისი A2-ს დონე, ისინი დაეწევიან ამ ბავშვებს და შემდეგ B1-თან ერთად გაივლიან პროფესიულ ინგლისურ ენასაც, რაც შეეხება პროფესიულ პროგრამებზე დაწევას, ისინი ფიქრობენ რომ ეს იქნება საზაფხულო სემესტრში ინდივიდუალური კურსი ამ სტუდენტებისთვის და მეოთხე სემსტრიდან ეს სტუდენტები დაწეული იქნებიან და მათ ჩაბარებული ექნებათ, როგორც პროფესიული ინგლისური ენა 3, B1-თან ერთად, ანუ ზაფხულის სემესტრში მოხდება ამ ყველაფრის ანაზღაურება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით ტეფნაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ინგლისურენოვანი საგნები იწყება მეოთხე სემესტრიდან, და ის წინაპირობა, რომ სტუდენტს აუცილებლად B2-ის დონეზე უნდა ჰქონდეს ინგლისური ენა ჩაბარებული და მას შემდეგ დაიწყოს ინგლისური საგნების შესწავლა, ეს დაცულია. მან განაცხადა, რომ ამ პროგრამაში ინგლისური ენის ლექტორებთან დიდი კონსულტაციების შემდეგ გზარდეს ინგლისურ ენაში საკონტაქტო საათები და ასევე ერთ დონეზე ორი სემესტრის განმავლობაში ასწავლიან, რადგან

შეუძლებელია 1 სემესტრში ერთი დონე აწიოს სტუდენტმა და ის რომ რაღაც დონეზე ვერ გავიდეს არის მინიმუმამდე დაყვანილი და ის A2-ის სწავლება, რომელიც ჩნდება იმიტომ, რომ სტუდენტმა არ იცის ინგლისური ზაფხულის სემესტრში ხდება გადაწეული B1-ისა და B2-ის სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა რამდენად ხშირია, რომ სჭირდებათ ზაფხულის სემესტრის „დამატება“, ანუ რამდენჯერ გამოუყენებიათ სტუდენტებს ზაფხულის სემესტრი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ზაფხულის სემესტრის გამოყენება ამ დრომდე არ დასჭირვებიათ, მაგრამ ვინაიდან ეს პროგრამა შეიცვალა, ამ შემთხვევაში გახდება მხოლოდ ზაფხულის სემესტრის დამატება, თუმცა თუ რომელიმე სტუდენტი ვერ შეძლებს გარკვეული საფეხურის დაძლევას, შესაძლებელია ინდივიდუალური სასაწავლო გეგმა ნებისმიერ დროს გაკეთდეს და ამის შესაძლებლობა ზაფხულის სემესტრშიც შეიძლება მიეცეს სტუდენტს და სხვა ნებისმიერ დროს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება დაძლიონ ესა თუ ის სასწავლო კურსი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:59
დასრულების დრო: 18:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია და რჩევები

რეკომენდაცია
დაემატოს „საჰაერო კანონმდებლობის“ სასწავლო კურსში ეროვნული საავიაციო კანონმდებლობის საკითხები
რჩევები:
ა)მიზანშეწონილია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს უფრო აქტიურად გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (მიზნები)
ბ) მიზანშეწონილია, რომ სტუდენტს, გარდა ინგლისური და რუსული ენისა ჰქონდეს ასევე სხვა ევროპული ენების სწავლის შესაძლებლობა არჩევითი კომპონენტის ფარგლებში;
გ) მეტი ყურადღება მიექცეს სილაბუსებში ტექსტის სტილისტურ გამართულობას;
დ) კარგი იქნება თუ მომავალში უნივერსიტეტი პილოტ - სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს მეტ ყურადღებას დაუთმობს

გადაწყვეტილება:
“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის

პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 3-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	---
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N240, 12/12/2019 წ
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, ჭავჭავაძის ქუჩა N53, პირველი სასწავლო კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	----

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტი, ნინო დოლიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის ნოემბერში, გაცემული იყო 4 რეკომენდაცია და შესაბამისობის ცხრილის მიხედვით II სტანდარტი იყო მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, ექსპერტმა ანგარიშში განიხილა ოთხივე რეკომენდაცია (რჩევები არ იყო გაცემული) და შეიძლება ითქვას, რომ შესრულებულია ოთხივე რეკომენდაცია:

1. გადაიხედოს ძირითადი საგნები და მოდიფიცირდეს საჯარო ადმინისტრირების სპეციფიკის გათვალისწინებით, ვინაიდან აუცილებელია, რომ ძირითადი დარგობრივი საგნების შინაარსი მიწოდებული იყოს საჯარო მმართველობის ჭრილში და არ იყოს ზოგადი ხასიათის ან მხოლოდ ერთი მიმართულებით, მაგალითად, სამართლის მიმართულებით ფოკუსირებული.

რეკომენდაცია შესრულდა.
შესაბამისი ცვლილებები შევიდა სილაბუსებში:

- „ადმინისტრაციული სამართალი-ადმინისტრაციული წარმოება“ მოდიფიცირდა, როგორც „ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში“;
- სასწავლო კურსი „ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი“ მოდიფიცირდა, როგორც „ადგილობრივი თვითმმართველობა“;
- სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი-საჯარო მმართველობა“ მოდიფიცირდა, როგორც „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“ და ამჟამად ისინი შეესაბამება კურსის შინაარსსა და მთლიანად კურიკულუმში ლოგიკურად ჩაჯდა;

2. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკში შეძლებისდაგვარად მეტი საჯარო მმართველობის კურსის დამატება. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა მოიცავდეს არა მხოლოდ პოლიტიკის, ეკონომიკის, შესაბამისი სამართლებრივი ასპექტებისა და მენეჯმენტის თავისებურებების შესწავლას, არამედ საჯარო მმართველობის სპეციფიკისთვის დამახასიათებელ საგნებს. - რეკომენდაცია შესრულებულია.
კერძოდ, საჯარო მმართველობის პროგრამას დაემატა შემდეგი კურსები სავალდებულო სტატუსით:

- შესავალი საჯარო მმართველობაში;

- საარჩევნო სისტემები (რომელმაც ჩაანაცვლა საარჩევნო სამართლის კურსი)

საჯარო პოლიტიკის თემების გაძლიერებისათვის არჩევითი სტატუსით პროგრამას დაემატა შემდეგი კურსი:

- პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი

გარდა ამისა, პროგრამიდან ამოღებულ იქნა მარკეტინგის საფუძვლების კურსი, რომელიც, შინაარსობრივად, საჯარო მმართველობის სფეროს არ შეესაბამება;

3. პროგრამის შეფასებისა და შემუშავების პროცესში გაიზარდოს კურსდამთავრებულთა ჩართულობა; - რეკომენდაცია შესრულებულია.
კურსდამთავრებულთა მონაწილეობა უზრუნველყოფილია როგორც პროგრამის სამუშაო ჯგუფში (დეკანის N20 განკარგულების მიხედვით სამუშაო ჯგუფს დაემატა ორი კურსდამთავრებული), ასევე პროგრამის შეფასების ჯგუფში (დეკანის გადაწყვეტილება N19-ში შესული ცვლილების საფუძველზე);

4. პროგრამაში, პრაქტიკული კურსის ნაცვლად გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკული კომპონენტი. - რეკომენდაცია შესრულებულია.
სასწავლო პროგრამიდან ამოღებულ იქნა რეპეტიტორიუმები საჯარო სამართლის, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების, ეკონომიკის, ფინანსებისა და მენეჯმენტის მიმართულებებით, რომლებიც, საბჭოსა და ექსპერტთა შეფასებით, განვლილი მასალის განმტკიცების მიზნით არამიზანშეწონილად იყო დამატებული, როგორც სავალდებულო, კრედიტიანი კურსები. სანაცვლოდ, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება მოხდა სასწავლო პრაქტიკის კურსის დამატებით, 18 ECTS-ის მოცულობით

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ციური დურულმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ღირებული რჩევებისათვის და როგორც მან აღნიშნა, როგორც პრაქტიკულად ასევე თეორიულად პროგრამა გაძლიერდა აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე და მისთვის სასიხარულოა, რომ ექსპერტებისა და სტუდენტების მოსაზრებები ამ მხრივ ერთმანეთს დაემთხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:35
დასრულების დრო: 18:40

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 18:59 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ